სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080160036080117

 # 1335 **02 / მაისი / 2017 წ.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 28 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP170001139 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2017 წლის 4 თებერვალს შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა 2017 წლის 23 აპრილს განვითარებული სტიქიური მოვლენების დროს დაზიანებული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 6000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2017 წლის 23 აპრილს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენების, კერძოდ ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა შენობა. სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დროულად განხორციელების მიზნით, აუცილებელი იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის მაქსიმალურად შეზღუდულ ვადაში განხორციელება. შესაბამისად, დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების მიმდინარეობა, რაც გამოიწვევდა ზარალის გაზრდას და ზიანს მიაყენებდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, 2017 წლის 23 აპრილს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენების, კერძოდ ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა შენობა. სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დროულად განხორციელების მიზნით, აუცილებელი იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის მაქსიმალურად შეზღუდულ ვადაში განხორციელება. შესაბამისად, დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების მიმდინარეობა, რაც გამოიწვევდა ზარალის გაზრდას და ზიანს მიაყენებდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე